№422 2013 წლის 7 მაისი ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის ლიკვიდაციის და მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრისათვის გადაცემის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე:

1. ლიკვიდირებულ იქნეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრი (შემდგომში - კვლევითი ცენტრი) და მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება გადაეცეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (შემდგომში - დაავადებათა კონტროლის ცენტრი).

2. კვლევითი ცენტრის ლიკვიდაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, სალიკვიდაციო კომისიის პერსო-

ნალური შემადგენლობის განსაზღვრა, უზრუნველყოს სალიკვდაციო კომისიამ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი სახით:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი - სალიკვიდაციო კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი - სალიკვიდაციო კომისიის წევრი;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი - სალიკვიდაციო კომისიის წევრი;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი - სალიკვიდაციო კომისიის წევრი;

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი - სალიკვიდაციო კომისიის წევრი;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელი - სალიკვიდაციო კომისიის წევრი;

კვლევითი ცენტრის დირექტორი - სალიკვიდაციო კომისიის წევრი.

3. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს მთავრობას წარმოუდგინონ წინადადებები დაავადებათა კონტროლის ცენტრის მართვის მიზნით მულტისექტორული (უწყებათაშორისი) სამეთვალყურეო ორგანოს (საბჭოს) შექმნის, მისი შემადგენლობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე.

4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება ლუგარის ცენტრის ლაბორატორიული ნაწილის დაავადებათა კონტროლის ცენტრის სტრუქტურულ შემადგენლობაში შეყვანა ლაბორატორიისათვის რიჩარდ გ. ლუგარის სახელობის სახელწოდების შენარჩუნებით.

5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, დაინტერესებულ უწყებებთან და უცხოურ დონორ/პარტნიორ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, მოამზადოს და საქართველოს მთავრობას წარმოუდგინოს განსახილველად დაავადებათა კონტროლის ცენტრის განვითარების სტრატეგია და ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 25 ივლისის N1518 განკარგულება.

7. „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის დროს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინადადების საფუძველზე უზრუნველყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - რიჩარდ გ. ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის ასიგნებების აუთვისებელი ნაწილის გათვალისწინება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებში.

8. განკარგულება, გარდა მე-6 პუნქტისა, ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. განკარგულების მე-6 პუნქტი ძალაშია ხელმოწერიდან სამი თვის შემდეგ.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**